

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

ს/ნ 204555524

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგების პროექტი
(მე - III კატეგორია)

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1)	2
2. ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2)	4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3)	5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავლები
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. ფინანსური ხარჯები
8. ფული და ფულადი ექვივალენტები
9. მოთხოვნები
10. კაპიტალი
11. ფიქსირებული აქტივები
12. მიღებული სესხები
13. სხვა ვალდებულებები
14. პირობითი ვალდებულებები
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	22 210,00	13 243,00	10 552,00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	15217,00	28064,00	53437,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	117,00	0,00	0,00
გადახდილი ავანსები	6 064,00	0,00	0,00
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება/მიწოდება	41 835,00	5 879,00	40 251,00
მარაგები:			
მასალა და ნედლეული	0,00	0,00	0,00
სხვა მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)	4 706,00	8 489,00	6 225,00
ძირითადი საშუალებები:			
მიწის ნაკვეთები	247 835,00	329 440,00	93 743,00
დაუმთავრებელი მშენებლობა	0,00	0,00	0,00
შენობები-ნაგებობები	655 318,00	694 900,00	737 408,00
მანქანა - დანადგარები	7 457,00	9 003,00	10 961,00
ოფისის აღჭურვილობა	174 564,00	100 437,00	71 589,00
ავეჯი-ინვენტარი	27 103,00	33 938,00	34 674,00
ინვენტარი (მცირეფასიანი)	11 166,00	13 738,00	13 533,00
სატრანსპორტო საშუალებები	0,00	11 402,00	11 759,00
კეთილმოწყობის ქონება (საინფ / ნაბატები / ბიბლიოთეკა)	120 558,00	121 472,00	0,00
არამატერიალური აქტივები	15 654,00	5 504,00	6 298,00
მრავალწლიანი ნარგავები	0,00	0,00	0,00
სულ აქტივები	1 349 804,00	1 375 509,00	1 090 430,00

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

ვალდებულებები	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	5596,00	6848,00	588,00
მიღებული ავანსები	2 187,00	245 963,00	0,00
გადასახდელი ხელფასები	20 537,00	20 099,00	0,00
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	0,00	1 442,00	0,00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	220 602,00	14 071,00	0,00
საგადასახადო ვალდებულებები	1869,00	52134,00	0,00
გადასახდელი დივიდენდები	0,00	0,00	0,00
მესაკუთრეებისგან ნასესხები სახსრები	0,00	36 000,00	384 957,00
ბანკებისგან ნასესხები სახსრები	356 660,00	450 640,00	0,00
სულ ვალდებულებები	607 451,00	827 197,00	385 545,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს -ში	324 785,00	324 785,00	1 000,00
გაუნაწილებელი მოგება	0,00	0,00	703 885,00
დაუფარავი ზარალი	-1644563	-958492	0,00
რეზერვი გაუნაწილებელი მოგებიდან	807 912,00	703 885,00	0,00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0,00	0,00	0,00
სხვა რეზერვები (დამფ. ინვესტიცია)	1 254 219,00	478 134,00	0,00
სულ საკუთარი კაპიტალი	742 353,00	548 312,00	704 885,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 349 804,00	1 375 509,00	1 090 430,00

ხელმძღვანელი: 
 ბუღალტერი: 



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2024 წელი	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2023 წელი
ამონაგები:	1 242 200,00	858 325,00
მომსახურების გაწევის საქმიანობიდან	1 159 632,00	840 285,00
საქონლის გაყიდვის საქმიანობიდან	0,00	0,00
საწარმოო საქმიანობიდან	0,00	0,00
სხვა საქმიანობიდან	82 568,00	18 040,00
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	-7375,00	0,00
საერთო მოგება	1 234 825,00	858 325,00
დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯები	-2308806,00	-1329568,00
ცვეთა და ამორტიზაცია	-145206,00	-49567,00
კომუნალური ხარჯები	-56096,00	-81662,00
საკონსულტაციო ხარჯი	-3000,00	-3367,00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-207001,00	-245172,00
საოპერაციო მოგება	-1485284	-851011
სხვა ფინანსური შემოსავალი	0,00	2 454,00
სხვა ფინანსური ხარჯი	-417,00	-109935,00
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	50927,00	0,00
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-1434774	-958492
მოგების გადასახადი	-209789,00	0,00
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	-1644563	-958492
განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ დარიცხული დივიდენდები)	0,00	0,00
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	-1644563	-958492

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2024 წელი	საანგარიშგებო პერიოდი 2023 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისგან/მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2 969 102,00	2 870 497,00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	-3401720,00	-3455314,00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-432618	-584817
გადახდილი მოგების გადასახადი	0,00	0,00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-432 618,00	-584 817,00
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	605 207,00	656 365,00
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	-38500,00	-79000
მიღებული პროცენტები	0,00	0,00
მიღებული დივიდენდები	0,00	0,00
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	566 707,00	577 365,00
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა დეპოზიტების განაღდებაიდან	0,00	0,00
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	21515,00	74 000,00
სესხის ძირის გადახდა	-115495,00	-17697,00
სესხის პროცენტის გადახდა	-46538,00	-46160,00
დივიდენდების გადახდა	0,00	0,00
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-140518,00	10143,00
სავალუტო კურსის ეფექტი	15396,00	0,00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	8 967,00	2 691,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13 243,00	10 552,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	22 210,00	13 243,00

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:



1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2008 წლის 5 მაისს, ხოლო ბოლო ცვლილება სადამფუძნებლო საბუთებში განხორციელდა 04/04/2022 წელს განაცხადის სარეგისტრაციო NB22039972. შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“ მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, სამღერეთის ქუჩა №5.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს „ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ“ (ს/ნ 406274008).

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტში სტუდენტების მოზიდვა და მათთვის სათანადო ცოდნის მიცემა, სწავლება ფასიანია, რომელიც შეადგენს საზოგადოების ძირითადი შემოსავალის წყაროს. ასევე ხდება საკუთარი ფართის იჯარით გაცემა, საიდანაც საზოგადოების ბიუჯეტში ფორმირდება დამატებითი შემოსავალი.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საზოგადოების მიერ მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს –ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი, არის შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“-ს მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც საზოგადოება ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით, რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

3.2 კლასიფიკაცია მიმდინარე / გრძელვადიანის მიხედვით

საზოგადოება ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისათვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების გადახდის თარიღს გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

სხვა ყველა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისათვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ინვესტიციები

კომპანიის ინვესტიციები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება როგორც შემოსავალი იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას გაუჩნდება აღნიშნული შემოსავლების მიღების უფლება.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.4.1 აღიარება და შეფასება

საზოგადოება ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. თუ საზოგადოების მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3.4.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.4.3 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის მიხედვით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით.

ჯგუფი

მომსახურების ვადა

მიწა და მიწის ნაკვეთები	უვალო
შენობა-ნაგებობები	30 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი	5 წელი
ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვისთვის განკუთვნილი და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივებიკლასიფიცირდება როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.6 შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ საზოგადოებას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა (დარიცხვის მეთოდი). შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

3.7 გადასახადები

3.7.1 მოგების გადასახადი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა განაწილებისას გადასახადი 15%-ის ტოლია.

1-8 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

3.7.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ“ -ს ძირითადი შემოსავალი სტუდენტებისაგან მიღებული სწავლის ქირა სსკ-ის მიხედვით განთავისუფლებულია დღგ -ისაგან, ხოლო შემოსავალი რომელსაც ის ღებულობს იჯარით მომსახურებისაგან - იბეგრება დღგ-ით.

3.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან და საკასო აპარატით დაფიქსირებული ნაღდი ფულის შემოძინებიდან.

3.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსავლების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით.

3.10 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, საზოგადოება აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდში.

5. საზოგადოების შემოსავლები

საზოგადოების შემოსავალი შედგება: სტუდენტების სწავლების საფასურისაგან, იჯარიდან მიღებული შემოსავლისგან და სხვა შემოსავლებისაგან, რომელიც თანხობრივად შეადგენს - 1 242 200,00 ლარს..

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სტუდენტების მომსახურებიდან	1159632,00	840285,00
შემოსავალი იჯარიდან	78070,00	18040,00
სხვა შემოსავალი	4498,00	2454,00
სულ	1242200,00	860779,00

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი	2308806,00	1329568,00
ცვეთა და ამორტიზაცია	145206,00	49567,00
საკონსულტაციო ხარჯი	3000,00	3367,00
კომუნალური ხარჯი	56096,00	81662,00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	207001,00	245172,00
სულ ხარჯი	2 720 109,00	1 709 336,00

2024 წლის განმავლობაში საზოგადოებას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა 127 თანამშრომელი და სპეციალისტი.

7. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
ფინანსური ხარჯი ბანკისგან სესხებზე	46538,00	109935,00

8. ფული და ფულის ექვივალენტი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ფული ბანკში	22210,00	13 243,00

1-8 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

9. მოთხოვნები

მოთხოვნები უმთავრესად ყალიბდებიან და კლასიფიცირდებიან შემდეგი სახეობის მიხედვით:

- სტუდენტების სწავლების გადაუხდელი საფასურის ოდენობა.
- მოიჯარეებიდან ფართის ქირავნობის გადაუხდელი საფასურის ოდენობა.

10. კაპიტალი

10.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 324 785,00 ლარს.

2024 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები ხორციელდებოდა პერმანენტულად, როგორც მისი ზრდის ასევე მისი შემცირების მხრივ.

10.2 დივიდენდები

ერთადერთი დამფუძნებელი წევრს დივიდენდის ოდენობისა და მისი განაწილების საკითხს, რაზეც ყოველი წლის დასაწყისში არსებობს დამფუძნებლის გადაწყვეტილება.

დივიდენდის გაცემის გადაწყვეტილება არ იყო მიღებული არც 2023 წელს და არც მიმდინარე 2024 წელს.

	2024 წელი	2023 წელი
გამოცხადებული დივიდენდები	0,00	0,00

11. ფიქსირებული აქტივები

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
მიწის ნაკვეთები	247835,00	329440,00
დაუმთავრებელი მშენებლობა	0,00	0,00
შენობა-ნაგებობები	655318,00	694900,00
მანქანა-დანადგარები	7457,00	9003,00
ოფისის აღჭურვილობა	174564,00	100437,00
ავეჯი და ინვენტარი	27103,00	33938,00
ინვენტარი (მცირეფასიანი)	11166,00	13738,00
სატრანსპორტო საშუალებები	0,00	11402,00
არამატერიალური აქტივები	15654,00	5504,00
კეთილმოწყობის ქონება	120558,00	121472,00
სულ	1259655,00	1375509,00

1-8 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

12. მიღებული სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ადგილობრივი ბანკებიდან ნასსხები		
სახსრები (ლარებში)	21515,00	379640,00
სხვა სესხი	0,00	71000,00
სესხი ფიზიკური პირისგან	0,00	36000,00

13. სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
საერთო ვალდებულებები	607451,00	827197,00

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკულად არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უაყოფიო შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.

თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განხილვას იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

1-8 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგების კორექტირებას.

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:

